

# სასწავლო რესურსები მათემატიკაში, რომლებმაც მათემატიკის შესწავლა საინტერესო გამოცდილებად აქცია

გთავაზობთ რესურსებს მათემატიკაში, რომლებიც ჩემი მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე შევქმენი. სასწავლო პროცესში მათმა ჩართვამ ეფექტურად იმოქმედა. ასევე, კოლეგების მხირადან დადებითი უკუკავშირის საფუძველზე, გიზიარებთ მათ. რესურსები ეხება გამრავლება-გაყოფისა და სივრცული ფიგურების შესწავლას.

მოგეხსენებათ, მათემატიკის შესწავლისას ხშირია გამოწვევები, რომლებსაც მოსწავლეები აწყდებიან. საგაკვეთილო პროცესში ვიზუალური დამხმარე საშუალებებისა და პრაქტიკული მანიპულაციების ჩართვით, მოსწავლეებს შეუძლიათ უფრო ინტერაქტიული და შინაარსიანი გზით შეისწავლონ სხვადასხვა პრობლემური საკითხი. ეს მიდგომა არა მხოლოდ აძლიერებს მათ გაგებას, არამედ მათემატიკის სწავლას უფრო სასიამოვნო გამოცდილებად აქცევს. სწორედ ამიტომ, ვცდილობ, მათ შევთავაზო უნივერსალური პრინციპების საფუძველზე დაგეგმილი და მრავალფეროვანი რესურსებით გამდიდრებული გაკვეთილი. მუდმივად ვთანამშრომლობ კოლეგებთან, ვეცნობი მათემატიკის მიმართულებით არსებულ რესურსებს და მათ მოდიფიცირებას, მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. სწორედ, ასე შეიქმნა შემდეგი რესურსები დაწყებითი საფეხურის (და არამხოლოდ) მოსწავლეებისთვის:

## რიცხვები და მოქმედებები

თემა: გამრავლება და გაყოფა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

მათემატიკური მოდელი ნატურალური რიცხვები

კანონზომიერება მოქმედებები ნატურალურ რიცხვებზე;

წერითი ალგორითმი ზეპირი ალგორითმი;

ლოგიკა მსჯელობა დასაბუთება

*როგორ გამოვიყენოთ რესურსი?*

ამოსაბეჭდი შაბლონები იხილეთ ბმულზე <https://rb.gy/layxa6>

. დეტალური ვიდეო ინსტრუქცია [https://youtu.be/auRZtC9x\\_Ys](https://youtu.be/auRZtC9x_Ys)



## გეომეტრია და სივრცის აღქმა

თემა: გეომეტრიული ფიგურები

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

მათემატიკური მოდელი

კუბი, პირამიდა, ცილინდრი, პრიზმა, კონუსი, პარალელეპიპედი, ბირთვი

კანონზომიერება

კავშირები ფიგურის ელემენტებს შორის

ლოგიკა

მსჯელობა დასაბუთება

*როგორ გამოვიყენოთ რესურსი?*

ამოსაბეჭდი შაბლონები იხილეთ ბმულზე <https://rb.gy/5mdetb>. დეტალური ვიდეო ინსტრუქცია <https://youtu.be/j-edijwQvFI>



აღნიშნული მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას;

სწავლების პროცესში წარმოშობილი სირთულეების აღმოფხვრისთვის;

ინდივიდუალური მხარდაჭერისთვის;

რემედიაციისთვის.

რესურსების კიდევ ერთი დადებით მხარე ის არის, რომ ისინი შეგვიძლია გამოვიყენოთ მრავალჯერადად.

მოხარული ვიქნები, თუ რესურსს გამოიყენებთ პრაქტიკაში (სურვილის შემთხვევაში შემიძლია კანვაში შექმნილი სამუშაო ვერსიების მოწოდებაც, რომ თქვენც შეძლოთ მოდიფიცირება საჭიროების შესაბამისად) და თქვენს უკუკავშირს გაგვიზიარებთ მეილზე: [tsuladze.eka@teachers.gov.ge](mailto:tsuladze.eka@teachers.gov.ge)

სსიპ რუსლან წულაძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანის მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების წამყვანი მასწავლებელი ეკა წულაძე